*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა)*

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

**წევრები:**

თამარ წიწიკაშვილი, ზოგადი განათლების ექსპერტი
ნინო ფსუტური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
კახა გალდავა, საზოგადოებრივი მეცნიერებები
ნინო მოლაშხია, უცხოური ენები
დავით კიკაბიძე, ესთეტიკური
ნადია დაბრუნდაშვილი, ტექნოლოგიები
მარიამ ჯვარიძე, სახელმწიფო ენა
შაქრო ჟღენტი, მათემატიკა
გიორგი კოპლატაძე, სპორტი
ნათია კურტანიძე, დაწყებითი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ბექან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 239402632 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯაროს კოლა |
| ფაქტობრივი მისამართი | **საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალოვანი** |
| საფოსტო ინდექსი | 4000 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | chalovani@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577 604 641 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 9 26 0000113092<br>04/02/2026 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 26-27 თებერვალი 2026 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანი, 1 შენობა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანი, 1 შენობა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანი, 1 შენობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>----200--------- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა* | *• სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, მოიძიოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.*<br>*• სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, სკოლის შენობაში უზრუნველყოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის სრული მონტაჟი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობას.* |
| *ინდიკატორი N3.5.1.4* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის სექტემბერი, უზრუნველყოს სკოლის შენობაში სშმ პირთათვის ინკლუზიური გარემოს მოწყობა, კერძოდ მოაწყოს პანდუსი/ლიფტი როგორც პირველ ასევე მეორე სართულზე გადასაადგილებლად, მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილები.* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია:*<br>• *სასურველია კურიკულუმში ჩანდეს მრავალფეროვანი იდეები და დიფერენცირების მაგალითები;*<br>• *კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო კათედრაზე შემავალ ყველა საგნისთვის ერთნაირი იყოს.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***მათემატიკა***<br>*მიზანშეწონილია დაწესებულებამ გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და ასახოს კურიკულუმში* |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***ინფორმაციული ტექნოლოგიები***<br>*სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში არსებული ცარიელი ველები შეივსოს შესაბამისი კონტენტით, ასევე გადამოწმდეს გამოყენებული ბმულები რადგან ზოგიერთი მათგანი არ გადადის შესაბამის მისამართზე.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია საგნის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. ეს შეიძლება იყოს ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ბიბლიოთეკები, აპლიკაციები და სხვა.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია კურიკულუმის გადამუშავებისას პრიორიტეტად განისაზღვროს რესურსების ტიპობრივი მრავალფეროვნება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და თითოეული მოსწავლისთვის ადაპტირებული.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია სასწავლო პროცესის შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, გარემო მოარგოთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისცეთ მათ არჩევანის გაკეთების საშუალება.* |
| *ინდიკატორი* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური* | ***მათემატიკა*** |

| | | |
|---|---|---|
| *N2.1.2.4* | *და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | *საჭიროა სასწავლო პროცესის დაწყებამდე კათედრაზე განისაზღვრ რესურსთა ტიპოლოგია რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობ რათა პროცესი გეგმაზომიერად წარიმართოს.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია:*<br>• *პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს;*<br>• *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს შედეგების ინდიკატორებს;*<br>• *განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს წახალისება, რჩევის პრინციპს;*<br>• *სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი;* |
| *ინდიკატორი N2.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია, შეფასების რუბრიკები გახდეს უფრო დეტალური და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***ინფორმაციული ტექნოლოგიები***<br>*სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტდეს კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი* |
| *ინდიკატორი N2.2.1.3.* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. სასურველია აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის* |

| | | |
|---|---|---|
| | | ანალიზი. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **უცხოური ენები**<br>სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | **მათემატიკა**<br>სასურველია რუბრიკები წინასწარ იყოს თემის ფარგლებში გაწერილი და მოსწავლეებისათვის გაცნობილი, ამასთან დაწერის სტილი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | **ინფორმაციული ტექნოლოგიები**<br>სასურველია განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები |
| ინდიკატორი N2.2.2.3. | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | **მათემატიკა**<br>რეკომენდებულია, პერიოდულად მოხდეს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის ანალიზი კათედრაზე და მათი განახლება მოსწავლეთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. |

| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **რჩევა** |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია:<br>• სასურველია კურიკულუმში ჩანდეს მრავალფეროვანი იდეები და დიფერენცირების მაგალითები;<br>• კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო კათედრაზე შემავალ ყველა საგნისთვის ერთნაირი იყოს |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***მათემატიკა***<br>*მიზანშეწონილია დაწესებულებამ გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და ასახოს კურიკულუმში* |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია:*<br>*• საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემულ იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდე რესურსები და ა.შ.*<br>*• რესურსები დაკონკრეტდეს და მითითებულ იქნას არა Youtub.com არამე კონკრეტული ლინკი, რომელზეც ყველას ადვილად ექნება წვდომა* |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია კურიკულუმის გადამუშავებისას პრიორიტეტად განისაზღვროს რესურსების ტიპობრივი მრავალფეროვნება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და თითოეული მოსწავლისთვის ადაპტირებული.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია, რომ სასწავლო პროცესი სკოლამ მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს* |
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | ***მათემატიკა***<br>*საჭიროა სასწავლო პროცესის დაწყებამდე კათედრაზე განისაზღვრ რესურსთა ტიპოლოგია რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობ რათა პროცესი გეგმაზომიერად წარიმართოს.* |
| *ინდიკატორი N2.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია*<br>• *სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი.*<br>• *პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტ მიმდინარეობის ანალიზს;* |

| | | |
|---|---|---|
| | | • განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს შედეგებ ინდიკატორებს; • განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება. |
| *ინდიკატორი* N2.1.2.5. | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***მათემატიკა*** *სასურველია, შეფასების რუბრიკები გახდეს უფრო დეტალური და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე.* |
| *ინდიკატორი* N2.2.1.3. | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. სასურველია აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი.* |
| *ინდიკატორი* N2.2.1.3. | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | ***უცხოური ენები*** *სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.* |
| *ინდიკატორი* N2.2.1.3. | *საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;* | ***მათემატიკა*** *სასურველია რუბრიკები წინასწარ იყოს თემის ფარგლებში გაწერილი და მოსწავლეებისათვის გაცნობილი, ამასთან დაწერის სტილი უნდა იყოს მკაფი და გასაგები.* |
| *ინდიკატორი* N2.2.2.3. | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა* | ***მათემატიკა*** *რეკომენდებულია, პერიოდულად მოხდეს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის ანალიზი კათედრაზე და მათი განახლება მოსწავლეთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და აკადემიური შედეგების გათვალისწინებ* |

| | | |
|---|---|---|
| | ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | |
| ინდიკატორი N2.2.2.3. | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სკოლა კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით. რაც საკმარისია კურიკულუმით დაგეგმილი მიზნების მისაღწევად.<br>რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ არსებული მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს კურიკულუმის შედეგებით განსაზღვრულ მიზნებს, სასურველია მოხდეს რესურსების განახლება.<br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია:<br>• სასურველია კურიკულუმში ჩანდეს მრავალფეროვანი იდეები და დიფერენცირების მაგალითები;<br>• კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო კათედრაზე შემავალ ყველა საგნისთვის ერთნაირი იყოს; |
| ინდიკატორი N2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **მათემატიკა**<br>მიზანშეწონილია დაწესებულებამ გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და ასახოს კურიკულუმში |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია:<br>• საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემულ იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდე რესურსები და ა.შ. |

| | | |
|---|---|---|
| | | • რესურსები დაკონკრეტდეს და მითითებულ იქნას არა Youtub.com არამედ კონკრეტული ლინკი, რომელზეც ყველას ადვილად ექნება წვდომა. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **მათემატიკა**<br>სასურველია კურიკულუმის გადამუშავებისას პრიორიტეტად განისაზღვროს რესურსების ტიპობრივი მრავალფეროვნება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და თითოეული მოსწავლისთვის ადაპტირებული. |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია, რომ სასწავლო პროცესი სკოლამ მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | **მათემატიკა**<br>საჭიროა სასწავლო პროცესის დაწყებამდე კათედრაზე განისაზღვროს რესურსთა ტიპოლოგია რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას რათა პროცესი გეგმაზომიერად წარიმართოს |
| ინდიკატორი N2.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია:<br>• განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს.<br>• პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს;<br>• სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. |
| ინდიკატორი N2.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **მათემატიკა**<br>სასურველია, შეფასების რუბრიკები გახდეს უფრო დეტალური და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. სასურველია აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, |

| | | |
|---|---|---|
| | | ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი |
| *ინდიკატორი N2.2.1.3.* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | ***უცხოური ენები***<br>*სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.* |
| *ინდიკატორი N2.2.1.3.* | *საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია რუბრიკები წინასწარ იყოს თემის ფარგლებში გაწერილი და მოსწავლეებისათვის გაცნობილი, ამასთან დაწერის სტილი უნდა იყოს მკაფი და გასაგები.* |
| *ინდიკატორი N2.2.2.3.* | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | ***მათემატიკა***<br>*რეკომენდებულია, პერიოდულად მოხდეს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის ანალიზი კათედრაზე და მათი განახლება მოსწავლეთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და აკადემიური შედეგების გათვალისწინებით* |
| *ინდიკატორი N2.2.2.3.* | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>*სკოლა კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით. რაც საკმარისია კურიკულუმით დაგეგმილი მიზნების მისაღწევად.*<br>*რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ არსებული მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს კურიკულუმის შედეგებით განსაზღვრულ მიზნებს, სასურველია მოხდეს რესურსების განახლება.*<br>*ინდიკატორი დაკმაყოფილებული* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

*ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზი დაფიქსირდა ინდიკატორ N3.4.1.1 და N3.5.1. მიმართებით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა რომ სრულად ეთანხმება აღნიშნულ ხარვეზებს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ხარვეზების გამოსასწორებლად.*

*3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:*

*• სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, მოიძიოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.*

*• სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, სკოლის შენობაში უზრუნველყოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის სრული მონტაჟი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობას.*

*3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:*

*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის სექტემბერი, უზრუნველყოს სკოლის შენობაში შშმ პირთათვის ინკლუზიური გარემოს მოწყობა, კერძოდ მოაწყოს პანდუსი/ლიფტი როგორც პირველ ასევე მეორე სართულზე გადასაადგილებლად, მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილები.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებეულებები, რომელიც დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებში. სკოლა არსებული ინფრასტრუქტურის, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ფუნქციური სივრცეები - სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედნები და სკოლის ეზო - ქმნის პირობებს აქტიური თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატება სოციალური ურთიერთობების განვითარებაში, შეხვედრების ორგანიზებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობისა აქტივობების განხორციელებაში, ასევე სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**
   სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 22 სექტემბრის  N2-37 ბრძანებით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან სკოლის მასწავლებლები,მშობლები და მოსწავლეები. სამუშაო ჯგუფთან გასუბრებით დგინდება, რომ

მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე მუშაობისას ხდებოდა მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები ( სამუშაო ჯგუფის მიერ კითხვარები), იმართებოდა დისკუსიები. ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის ვერსია, დისკუსიების შედეგად მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია, რაც დადასტურებულია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმებით( N1, 25/09/2023, N2 27/09/2023)

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   სკოლის მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ. აღნიშნული პრინციპები საჯაროდ არის წარმოდგენილი და განთავსებულია სკოლის ფოიეში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულ და შეთანხმებულ იქნა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე(ოქმიN7,12/10/2023) ხოლო შემდგომ დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ (N10, 16/10/2023). აღნიშნული გადაწყვეტილებები დოკუმენტურად დასტურდება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომების შესაბამისი ოქმებით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბერის N129/ნ ბრძანება სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლისათვის ბეჟან ხარაიშვილის სახელის მინიჭება მოხდა: სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა. სკოლის სახელი შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება 2023 წლის 22 სექტემბრის N2-37.
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმები. N1, 25/09/2023, N2 27/09/2023)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი(N10, 16/10/2023)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7,12/10/2023);
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- https://skolebi.emis.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბერის N129/ნ ბრძანება სკოლისათვის სახელის შექმნის შესახებ.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის დირექტორის სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N2-38-ით არის დამტკიცებული. მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომლის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის

შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება და სხვა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლაში შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის ყველა მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით დგინდება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის და SWOT-ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმიN610სექტემბერი 2025) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N7, 25 სექტემბერი 2025).
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა ასევე წარმოდგენილია კონკრეტული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის  დამტკიცების შესახებ 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N2-38
- პედაგოგიური საბჭო სხდომის  (ოქმიN610სექტემბერი 2025)
- სამეურვეო საბჭოს  (ოქმი N7, 25 სექტემბერი 2025)

## 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-38 22/09/2023) რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. შემდეგ ხდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები.  ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და სტრატეგიული მეთოდოლოგიის შესაბამისად დგინდება, რომ სტრატეგიული გეგმის გადახედვა და მონიტორინგი ხდება და შესაბამისად უწევს 2026 წლის სექტემბერისათვის. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც მოიცავს გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ცხრილს და ანალიზს თითოეული სტრატეგიული მიზნის მიხედვით. ანგარიში წარდგენილი იყო პედაგოგიური საბჭოს( ოქმიN6 10/09/2025) წინაშეც. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრიბეით დგინდება, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართული იყვნენ მასწავლებლებიც, მშობლებიც და მოსწავლეებიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მონაწილეობდნენ კითხვარების შევსებაში, რომელიც ძირითადად სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგეგების ანალიზი და განხორციელებული SWOT ანალიზის შედეგები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში საჯაროა, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე http://skolebi.emis.ge/

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის დირექციასთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვლისწინებული იყო 2024-2025 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-38 22/09/2023)

- პედაგოგიური საბჭოს (ოქმიN6 10/09/2025)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.
   მათი თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.
   ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის ბრძანებით (N2-50, 25.09.2024) დამტკიცებული თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, რომელში გაწერილი ინსტრუქციები და ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

..

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლებმა იციან თავისი საქმიანობის სფერო, პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რაც ეხმარება საქმიანობის ორგანიზებაში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- თანამშრომელთა თანამდებობრივი აღწერილობები (ბრძანება N2-50, 25.09.2024);
- შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისადაა გაფორმებული. სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის (2023 წლის სამეურვეო საბჭოს N10 სხდომის ოქმი) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლას შემუშავებული აქვს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალ თანამშრომელთან ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადების აუცილებლობას, თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და სხვა. სამუშაოს ხანგრძლივობა, შვებულება, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა დარეგულირებულია შინაგანაწესით და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დასაქმებულის სამსახურში არ ან ვერ გამოცხადების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება ხდება სხვა თანამშრომლით. მასწავლებლის შემთხვევაში საათები გადანაწილდება საგნობრივ ჯგუფში შემავალ სხვა მასწავლებლებზე, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლის მოწვევა მეზობელი სოფლების სკოლებიდან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია....**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებშიც ჩართულია მოწვეული სპეციალისტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტი და ა.შ). ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge-ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ ყველა თანამშრომლებს აქვს ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა 2020 წლის 16 სექტემბრის სპორტის მასწავლებლის

(https://teacherjobs.ge/22835/) და 2026 წლის 17 თებერვალს სპეციალური მასწავლებლის (https://teacherjobs.ge/97346 ) გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამასი დოკუმენტაცია რაც შესაბამისი იყო კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

   სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, 24 მასწავლებელი (მათ შორის 20 უფროსი, 3 წამყვანი, 1 სსსმ უფროსი მასწავლებლი), საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, მტუკი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი, რომელშიც ჩართულნი არიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირებიც. აღნიშნული საკითხის განხილვისას შესწავლილი იყო სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, ინვენტარიზაციის კომისია და ა.შ).

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

   სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ.). სკოლაში დასაქმებული არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გამოცდილების გაზიარებაში. სკოლის დირექცია ატარებს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა სიტუაციებს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. აქცენტი

კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. სკოლაში თუ სკოლის გარეთ მიღწეულ წარმატებას სკოლის საერთო შეხვედრებზე აუცილებლად აღნიშნავენ და უცხადებენ მხარდაჭერას მოსწავლესა თუ მასწავლებელს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- https://teacherjobs.ge/22835/
- https://teacherjobs.ge/97346
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები;
- კომისიის სხდომის ოქმები.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები (სერტიფიკატები, დიპლომები, ცნობები);
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და აღნიშნული საკითხი ჩაშლილი არის სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. პერსონალის საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება: თვითშეფასების შედეგები, ხელმძღვანელის მიერ შეფასების შედეგები. სკოლას შემუშავებული აქვს თვითშეფასების ფორმები, რომლებიც ივსება შესაფასებელი პირის მიერ, შემდგომ შემფასებლის მიერ ხდება გასაუბრება. შეფასების შედეგები ეგზავნება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს წინასწარ დაგეგმილი განრიგის და გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს შეფასებისა და განვითარების მექანიზმები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

   სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მასწავლებლების ანგარიშების წარდგენა, ანალიზის საფუძველზეც დგინდება ის მიმართულებები, რომელშიც მასწავლებლებს ესაჭიროება დახმარება. აღნიშნულთან დაკავშირებით გაწერილია კათედრის ფარგლებში სამოქმედო გეგმის ნაწილში.

   სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ამ მიმართულების შესაბამისი აქტივობები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

   სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მუდმივად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარების შესახებ. 2025 წლის განმავლობაში სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. ბუღალტერმა და დირექტორმა გაიარეს გადამზადება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ხაზინის მართვის საკითხებტან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთა**

   სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტერგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად, მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რაც მათ უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს.

   სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, რომელიც პუნქტ 3.1-შია გაწერილი (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მასწავლებელი უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი,) რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებისას დასახელებული იქნა მათი პროფესიული ინიციატივების წახალისების მაგალითები. დირექციას აქვს მზაობა, მოუსმინოს თანამშრომელთა ინიციატივებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა. სააქტო/საკონფერენციო დარბაზის სივრცე სკოლის ადმინისტრაციამ მოაწყო მოსწავლეების საჭიროებებისა და პროექტების განხორციელებისათვის ხელშემწყობი ინვენტარით, სადაც შექმნილია ურთიერთთანამშრომლობითი გარემო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა:
- სკოლის შინაგანაწესი;

- სერტიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 28ნოემბრის N2-51 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლამ სრულად მოაგვარა აღნიშნული საკითხი და ჩამოაყალიბა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტურად გამყარებული და განსახორციელებელი მექანიზმები. წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო

გეგმა, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია და ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს, რაც გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. ასევე შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირების როლსა და პასუხისმგებლობებს. გასაუბრებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს თანმიმდევრულ ხარისხის მართვის პროცესებს, რაც მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და მუდმივ სრულყოფას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მათზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო (დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (მუხლი 4) გაწერილი და განმარტებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი (დირექციის, ადმინისტრაციის, მმართველი საბჭოების ფუნქციები), ძირითადი (საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, დისციპლინური წარმოება, მოსწავლის ადაპტაცია და მედიაცია) და დამხმარე (ადამიანური რესურსების მართვა, დოკუმენტბრუნვა, შრომითი ურთიერთობები) პროცესები, რაც სასკოლო საზოგადოებას ეხმარება პროცესების მნიშვნელობის უკეთ გააზრებასა და წარმატებულად წარმართვაში.

აღნიშნული პროცესების მათი განხორციელება უზრუნველყოფს სკოლაში სწავლისა და მართვის უწყვეტობასა და გამჭვირვალობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

   აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. სკოლის შინაგანაწესში (სამეურვეო საბჭოს ოქმი N11, 10/12/2025წ.) არის მუხლი 22. განცხადების განხილვისა და გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევ ცალკე დოკუმენტად არის გასაჩივრების წესი, „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დეტალურად იყოს გაწერილი პროცესის თანმიმდევრობა. წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   სკოლას აქვს შინაგანაწესი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი N11), რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მესამე მუხლი არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

..

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N11, 10/12/2025წ.);
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძანება N2-51, 28/11/2025წ.);

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**
   სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების მიღება. სკოლის ადმინისტრაცია მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.
   მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. ასევე სკოლას 2021 წელს შემუშვებული ქვს მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია).
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში (სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი) გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის

შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი და მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.....**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია).
- მშობლებთან გაფორებული ხელშეკრულებები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (8 ვიდეო კამერა), თუმცა სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების დაფარვას სრულად ვერ ხერხდება.

სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვისა და საევაკუაციო გეგმები. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძანება N1/კ-12, 01/08/2023) შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (03/08/2023 MIA 9 23 02248643), რაც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფის წინაპირობაა. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ჰქონდა წერილობითი კომუნიკაცია წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსთან (წერილი N MES 6 25 0001745999, 08/12/2025) სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სკოლის არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა შესახებ, თუმცა სკოლის დირექტორის მიერ გაგზავნილი წერილის (MES 3 24 0001541038, 02/12/2024) შედეგად სკოლასა და სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის 2026 წლის 16 თებერვალს გაფორმდა Nე-90 ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურების შესახებ.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინე შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 9 მარტის (MES 8 26 0000287350) და 2026 წლის 11 მარტის (MES 1 26 0000296236) მიმართა წერილებით -საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით უზრუნველყოფის დასახმარებლად. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად განსაზღვრა ერთი წელი, 2027 წლის მარტი.

**რეკომენდაცია:**

- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტი, სკოლის შენობაში უზრუნველყოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის სრული მონტაჟი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობას.**

**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება N2-54, 01/12/2025), რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია ექთანი, რომელიც კონკურსის საფუძველზეა დასაქმებული და გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. დოკუმენტაციის წარმოება ხდება ელექტრონულად (მოსწავლეთა ბაზები, ინფორმაცია აცრების შესახებ, ალერგიის შესახებ, მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია) და მატერიალურად. ექთანი აფიქსირებს აღრიცხვის ჟურნალში მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტებს. ექთნის კომპეტენციები შეესაბამება ზემოთ აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023 წლის N10 ოქმით უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლის დირექტორის 2019 წლის 04 თებერვლის N2-02 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატი უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულის წარმატებით დაძლევის შესახებ (რეგისტრაციის N640/19, 23/07-25/07/2019). ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით

აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. სკოლას ჰყავდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ამ ეტაპზე გამოცხადებულია სპეციალური მასწავლებლის ვაკანსია (https://teacherjobs.ge/97346 ), რომლის მიერაც გაზიარებული იქნება აღნიშნული მიდგომები. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს აღნიშნული საკითხების პრიორიტეტულობა. ვაკანსია სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აღნიშნული საკითხები განხილულია მრჩეველთა საბჭოს მიერ, რაც მრჩეველთა საბჭოს ოქმებშია დაფიქსირებული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის ექთანი. სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული არის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა (ბრძანება N2-52. 01.10.2024). და მისი მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული

მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემები ატვირთულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე https://pdp.sao.ge/ka/content/1012/8085/ssip-beJan-xaraiSvilis-saxelobis-saCxeris-municipalitetis-sofel-Walovanis-sajaro-skola

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ემსახურება ცენტრის IT სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროსთან გაფორმბული ხელშეკრულება
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძანება N1/კ-12, 01/08/2023);
- შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (03/08/2023 MIA 9 23 02248643);
- წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს MES 6 25 0001745999, 08/12/2025;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება N2-54, 01/12/2025);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცება (2023 წლის N10 ოქმი);
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-02, 04/02/20219;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატი უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულის წარმატებით დაძლევის შესახებ (რეგისტრაციის N640/19, 23/07-25/07/2019);
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საევაკუაციო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 5786 კვ.მ. ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დგას 2 შენობა (შენობა N1 ფართი 1423.94 კვ.მ.- სასწავლო კორპუსი; შენობა N2 ფართი 40.56 კვ.მ. - საქვაბე). შენობა აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2011 წელს. პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო ოთახი, რესურს ოთახი, სველი წერტილები და კომპიუტერული ლაბორატორია. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, დირექტორისა და მოადგილის კაბინეტები და კანცელარია. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, საკლასო ოთახებში განთავსებულია მინიმუმ ერთი დაფა. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**
   სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, რომლებსაც აქტიურად იყენებს სკოლა სახვდასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**
   სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. მასთან გასაუბრიბით დადგინდა, რომ იგი ინფორმირებულია ბიბლიოთეკის წესის შესახებ, შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა, აწარმოებს წიგნადი ფონდის აღრიცხვას, აქვს

საინვენტარიზაციო ჟურნალი, ცალ-ცალკე აწარმოებს სახელმძღვანელოებისა და მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის აღრიცხვას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

   სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები შენობის ორივე სართულზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შშმ მოსწავლე.

   სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის არც პანდუსი შენობაში შესასვლელად, არც ლიფტი, არც ადაპტირებული საპირფარეშო. შესაბამისად სკოლას არქვს შშმ პირთათვის დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის შესაძლებლობა.

   დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციაში დაეთანხმა ექსპერტთა პოზიციას და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა პრობლემის მოგვარების ვადად 2027 წლის სექტემბერი. ასევე წარმოადგინა 2026 წლის 27 თებერვლის MES 4 26 0000211890 წერილი ქალაქ საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან მიწერილი შუამდგომლობის წერილი.

   **რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის სექტემბერი, უზრუნველყოს სკოლის შენობაში შშმ პირთათვის ინკლუზიური გარემოს მოწყობა, კერძოდ მოაწყოს პანდუსი/ლიფტი როგორც პირველ ასევე მეორე სართულზე გადასაადგილებლად, მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილები.**

   **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

   სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, შეხვედრების კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. სააქტო დარბაზში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია დღის განმავლობაში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის ფლობის შესახებ;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- შენობის აზომვითი ნახაზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   სკოლის ბალანსზე ირიცხება 9 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 6 ლეპტოპი, სკოლაში კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერით. ე.წ.“ტოკენი“-ის საშუალებით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობს სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია (დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი). სკოლაში არსებული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტექნიკის მიღება-ჩაბარება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები.;
- ვიზუალური დათვალიერებით.

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება განცხადებები, რომელთაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც. სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2-019, 09/06/2023წ.) და შესწავლილი დოკუმენტაცია შესაბამისია აღნიშნულ წესთან.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. მოქმედებს eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ბრძანებების რეგისტრაცია. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და

ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

   სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია სკოლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა და მასწავლებლობის მაძიებლისათვის განსაზღვრული ტუტორის შესახებ ინფორმაცია. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი(ბრძანება N2-019, 09/06/2023წ.);
- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow-ს გვერდი.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელით https://www.facebook.com/profile.php?id=100024885854390 ახორციელებს. თანამშრომელთა და მოსწავლეთა აქტივობების განთავსებასა და გავრცელება ხდება სოციალური გვერდის საშუალებით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულება იყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელში სკოლის გვერდს. სოციალურ ქსელში გვერდის დათვალიერებით, დგინდება რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო და უტყუარი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისაგან კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას საჭიროებების გამოვლენაში, არსებული ვითარების შეფასებასა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში. დაწესებულებამ წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და ანალიზი, რომელშიც კითხვები ეხება სკოლის ინფრასტრუქტურას, სკოლის თანამშრომლებთან ურთიერთობას, სასწავლო პროცესს და განხორციელებულ აქტივობებს. უკუკავშირის გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სკოლა აქვს ვებ-გვერდი http://skolebi.emis.ge/ , სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული და აღნიშნული გვერდის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია. ინფორმაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა, მისამართი, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030), ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(2025-2026), სკოლის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები კლასების მითითებით, ელ.ფოსტა, სკოლის შინაგანაწესი, საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, 2025 წლის ფინანსური ანგარიში, ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ, 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, მოსწავლის ადაპტაციის წესი და მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- http://skolebi.emis.ge/
- https://www.facebook.com/profile.php?id=100024885854390

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები
### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს წინაშე წარმოდგენილია 2025 წლის ფინანსური ანგარიში, საბჭოს სხდომაზე განხილული იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიში და 2026 წლის ბიუჯეტი. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა (2025 წლის 18 ნოემბერი), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
   სკოლაში დამტკიცებულია აქვს 2026 წლის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სკოლის ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად

დგინდება, რომ ახალი გეგმის შესამუშავებლად ხდება ბოლო ორი წლის შესყიდვების და ხარჯების ანალიზი. ანალიზის, ბაზრის კვლევისა და სამოქმედო გეგმის შეჯერების საფუძველზე დირექციამ შეიმუშავა 2026 წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია (საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება N2-49, 27/11/2025). სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ბიჯეტში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ახალ ბიუჯეტს და მხოლოდ სამეურვეო საბჭოს მიერ ცვლილების დამტკიცების შემდეგ ხდება შეცვლილი ბიუჯეტით მოქმედება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- 2025 წლის ფინანსური ანგარიში;
- 2026 წლის შესყიდვების გეგმა;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება N2-49, 27/11/2025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

## 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N11, 10//12/2025წ.). აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთა**
   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის

შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დირექციასთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იციან საჭიროების შემთხვევაში კლასში 25 მოსწავლეზე მეტის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა ეგზავნება საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუმცა ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**
   სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
   სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმიები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
   სკოლას აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-06, 18/03/2024წ.), რომელიც მოიცავს შემდეგს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; დეზადაპტაციის ნიშნებს; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სკოლის დათვალიერება.
   კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**
   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო გამოცდების შემთხვევაში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   საქმისმწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში სხვადასხვა პროექტები ხორციელდება. სკოლა ჩართული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამის განვითარების ფარგლებში ორგანიზებულ პროექტებში, აქტიურად თანამშრომლობენ პარტნიორ ორგანიზაციებთან, ერთობლივად კორბოულის N2 საჯარო სკოლასთან ერთად განახორციელე ქართულიენისა და სამოქალაქო განათლების ერთობლივი პროექტი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

   მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-06, 18/03/2024წ.)

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებაში. სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით. სკოლას სტუმრობენ სხვადსხვა პროფესიის წარმომადგენლები და სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაჩხერეში პროფესიულ კოლეჯს სტუმრობენ.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**
   სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. წელს პირველად ჰყავთ სსსმ მოსწავლე. გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი, თუმცა კადრი ვერ მოიძებნა. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა შედგენილი ისგ, თუმცა პროცესი მიმდინარეობდა ისგ-შექმნაზე. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც უნდა განიხილოს სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცდეს პედაგოგიურ საბჭოზე. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2025-2026 ს.წ.
- სამეურვეო და პედაგოგიური  საბჭოს სხდომის ოქმები;
- ისგ.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება ხდება საჩხერის გამგეობის მიერ ჩატარებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი სატრანსპორტო საშუალებებით. სკოლა ახორციელებს ტაბელის წარმოებას. სხვა ტიპის მომსახურებას სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**
   ამ ეტაპზე სკოლა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ გააზრებული აქვთ უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვის აუცილებლობა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანსპორტირების ტაბელი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება** |

| | **☐ არ შეესაბამება** |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ჭალოვანის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ითვალისწინებს და ასახავს სკოლის უშუალო საზოგადოების, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თემის, საჭიროებებსა და თავისებურებებს. ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მათი ასაკობრივი თავისებურებების, სწავლის სტილის, ინტერესებისა და მომავალი მისწრაფებების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება წარმოადგენს მონაწილეობით მიდგომას, რომელიც აძლიერებს სკოლის როლს და ფუნქციას საზოგადოებაში. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმი შეიცავს ისეთ თემებს, აქტივობებსა და პროექტებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის არის საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანი. სკოლა ხელს უწყობს პროექტულ სწავლებას. მასწავლებლები მაქსიმალურად იყენებენ პროფესიულ გამოცდილებას და ინდივიდუალურ მიდგომებს. კურიკულუმებში იკვეთება საგანთა ინტეგრირება სასწავლო პროცესში. სასკოლო კურიკულუმი ეფექტურად ითვალისწინებს და თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოების ანუ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის  გამოვლენილ ინტერესებს, საჭიროებებსა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდნენ საგნობრივი კათედრები, ადმინისტრაცია. თითოეული წევრის წვლილი უზრუნველყოფს კურიკულუმის მრავალფეროვნებასა და მის შესაბამისობას სკოლის ხედვასთან. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურუკულუმის შემუშავება არის თანამშრომლობითი და ინკლუზიური პროცესი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია

დაწყებით საფეხურზე ჩანს, რომ სკოლა ქმნის მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს თითოეულ დაინტერესებულ მხარეს, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი კურიკულუმის დაგეგმვაში. ინტერვიურების ფაზაზე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების ხედვები, გამოცდილება და საჭიროებები სისტემატურად გროვდება და ინტეგრირდება საბოლოო დოკუმენტში. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მზა კურიკულუმი წარედგინა სასკოლო საზოგადოებას. არსებობს საერთო შეთანხმება პრიორიტეტებზე, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას. ეს ქმნის გამჭვირვალე გარემოს და ნდობას სკოლასა და საზოგადოებას შორის. შესაბამისად, როგორც ინტერვიურების ფაზაზე გამოიკვეთა მშობლებსა და მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესის მიზნები და შინაარსი. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრების ოქმები
- პროექტები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნებში, კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ შინაარსის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებელ კონსტრუირებაზე. დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე გამოცდილება, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებითი** საფეხურის კურიკულუმები **(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო),** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ შემოქმედებითი დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საბაზო** საფეხურის კურიკულუმები **(გეოგრაფია, მოქალაქეობა, ისტორია)** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საშუალო** საფეხურის კურიკულუმები (**ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია)** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ |

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითი დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევები:<br>სასურველია:<br>1. კურიკულუმებში ჩანდეს მრავალფეროვანი იდეები და დიფერენცირების მაგალითები;<br>2. კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო კათედრაზე შემავალ ყველა საგნისთვის ერთნაირი იყოს; |
| უცხოური ენები | ორივე უცხოურ ენაში, რომელიც ისწავლება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლაში (ინგლისური, რუსული), საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოადგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრის მიერ დაგეგმილ შეოქმედებით დავალებებზე |

| | |
|---|---|
| | მუშაობისას მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული სასწავლო პროცესში და შესძლებს ცოდნის კონსტრუირებას. ამაზე მეტყველებს კათედრის წარმოადგენილი დოკუმენტები (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, განხორციელებული პროექტის ანგარიში, ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია). ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ სწავლებისას იყენებენ მრავალფეროვან შემოქმედებით მიდგომებს და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროეცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | პედაგოგთა მიერ მოწოდებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვას. შერჩეული თემატიკა ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, რაც ხელს უწყობს საგნობრივი ცნებებისა და შედეგების ინტეგრირებულად ათვისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>მიზანშეწონილია დაწესებულებამ გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და ასახოს კურიკულუმში |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენსმოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, |

| | |
|---|---|
| | სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა.<br>მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქვთ და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში არსებული ცარიელი ველები შეივსოს შესაბამისი კონტენტით, ასევე გადამოწმდეს გამოყენებული ბმულები რადგან ზოგიერთი მათგანი არ გადადის შესაბამის მისამართზე. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, სასწავლო პროცესში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას საკვანძო შეკითხვებზე პასუხის მოძიების გზით ეტაპობრივად აღწევს საბოლოო შედეგს. ამ პროცესში ის იაზრებს, რა ცოდნა და უნარები სჭირდება კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შესასრულებლად და შეგნებულად მართავს საკუთარ სწავლის პროცესს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მოსწავლე ნამდვილად არის საკუთარი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე, შემოქმედი და სუბიექტი, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების არსს სრულად ასახავს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შემუშავებული კურიკულუმის სტრუქტურა საბუნებისმეტყველო საგნებში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ **სამიზნე ცნებების** გააზრებაზე. თითოეული თემა და კომპლექსური დავალება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სიღრმისეული და კონსტრუქციული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საბაზო** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საშუალო** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-VI კლასები), ჟანრი (VII-XII კლასები), სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის  კურიკულუმებში სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის  კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტების აღწერაში  შუალედური(საკითხები,თემები,შემოქმედებითი დავალებები) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და განხორციელების  საეტაპო აქტივობებიდან  გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მაღალი საზროვნო უნარების განვითარებასა და  სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მათში დეტალურად არის გაწერილი ყველა **სამიზნე ცნება**, ქვეცნებები და ის თემატური ბლოკები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია სასწავლო წლის განმავლობაში.<br>კურიკულუმის სტრუქტურაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი **ცოდნის სამივე კატეგორიაზე** (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) განსაკუთრებული აქცენტი კეთდება **შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე**, რომლებიც სასწავლო პროცესის მთავარი კომპონენტს წარმოადგენს.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას.<br>მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს.<br>გასაუბრებისას მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქვთ პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოდგინა საგნობრივი კურიკულუმები, დოკუმენტები ძირითადად ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს და მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს თემებს, სამიზნე ცნებებს (გრძელვადიან მიზნებს) და საკითხებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ მიმდინარეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები წარმოადგენს მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც სახელმძღვანელოს ჩარჩოებს. რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების ხელშესაწყობად. თითოეული თემის ფარგლებში გამოყენებულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამხმარე რესურსები: ვიზუალური მასალა, სიმულაციები, სტატიები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი |

| | |
|---|---|
| | რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია საგნის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. ეს შეიძლება იყოს ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ბიბლიოთეკები, აპლიკაციები და სხვა.<br>**საბაზო** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ასევე ციფრული რესურსები საგანმანათლებლო პლატფორმები რომლებიც ამდიდრებს სწავლა-სწავლების პროცესს. თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. ბიბლიოთეკა, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>**საშუალო** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ზოგიერთ კურიკულუმში ასევე მოცემული ციფრული რესურსები საგანმანათლებლო პლატფორმები ამდიდრებს სწავლა-სწავლების პროცესს. *(მაგალითად მოქალაქეობის კურიკულუმში მოცემულია ფსიქოლოგის ლექციები და დისკუსიები* |

| | |
|---|---|
| | *სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე)* თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. სკოლა იყენებს ბიბლიოთეკას, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია:<br>• საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემული იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები და ა.შ.<br>• რესურსები დაკონკრეტდეს და მითითებულ იქნა არა Youtub.com არამედ კონკრეტული ლინკი, რომელზეც ყველას ადვილად ექნება წვდომა. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მ.შ. საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსებიდან ასევე სკოლის მიერ მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან და განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებიდან და პროექტებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე კურიკულუმის განხორციელებისას იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული და სხვა სახის მასალა, ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმი ძირითადად ინტერნეტ-რესურსებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია კურიკულუმშივე განისაზღვროს უფრო **მრავალფეროვანი სასწავლო მასალები**. რესურსების დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება) საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ მოახდინოს სწავლების **დიფერენცირება** მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>რჩევა:<br>სასურველია კურიკულუმის გადამუშავებისას პრიორიტეტად განისაზღვროს რესურსებ ტიპობრივი მრავალფეროვნება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო დ თითოეული მოსწავლისთვის ადაპტირებული.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცილებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, ამიტომ მასწავლებლები ძირითადად იყენებენ სამინისტროსთან შეთანხმებულ School.emis.ge ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მორგებულია |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა საჭიროებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, სწორედ ამ რესურსს იყენებს წარმოდგენილი სკოლის მასწავლებელიც.. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსწავლეებს აქვთ კომპიუტერები როგორც სკოლაში, ასევე სახლებშიც და შეუძლიათ დავალებების შეუფერხებლად შესრულება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში უზრუნველყოფილია მათთვის დროის გამოყოფა კომპიუტერულ ლაბორატორიაში სამუშაოდ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, საგანმანათლებლო თამაშები, ნამუშევრები, რომლებიც არა მხოლოდ ასახავს მოსწავლეთა შემოქმედებით ჩართულობას, არამედ წარმოადგენს პრაქტიკულ რესურსს, რომლის გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ მომავალ სასწავლო წლებში სასწავლო მიზნებისთვის. ზოგიერთი მათგანი მატერიალური სახით არსებობს ბიბლიოთეკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

### 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ნაკლებად იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას.თუმცა სკოლა ზრუნავს სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვას.რაც დასტურდება ინდ.სასწავლო გეგმების არსებობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | ჭალოვანის საჯარო სკოლაში **დაწყებით საფეხურზე** ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| | რჩევა:<br>სასურველია სასწავლო პროცესის შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, გარემო მოარგოთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისცეთ მათ არჩევანის გაკეთების საშუალება.<br>**საბაზო საფეხურზე** ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>**საშუალო საფეხურზე** ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია, რომ სასწავლო პროცესი სკოლამ მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ახდენენ კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალებების დიფერენცირებას კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე და მაგალიტად მოიყვანეს მუსიკის მესამე კლასის ერთ ერთი დავალებარომელიც ეხებოდა თემას მუსიკით ქალაქის, სოფლის მარშრუტის არწერა, ასევე |

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკის და სახვით ხელოვნების სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში ირიცხება ორი სსსმ მოსწავლე. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მათი საჭიროებები და შესაბამისად იგეგმება სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოს, თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან. სსსმ მოსწავლეს მასზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს სთავზობენ, რითაც გადიან დასახულ შედეგზე. გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები იცნობენ და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლაში მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების ერთიან მექანიზმზე, რაც იძლევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების აღწერის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ შემოქმედფებითი ტიპის დავალების შინაარსობრივ ნაწილში ასახულია დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რაც სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას უზრუნველყოფს.<br>რჩევა: საჭიროა სასწავლო პროცესის დაწყებამდე კათედრაზე განისაზღვროს რესურსთა ტიპოლოგია რომელიც უზრუნველყობს მოსწავლეთა ჩართულობას რათა პროცესი გეგმაზომიერად წარიმართოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.<br>მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | საგნის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში იძებნება აქტივობები, სადაც ჩანს, რომ მის მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ინტერვიუს დროსაც  მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ხშირად გეგმავს და მოსწავლეებთან იყენებს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და  ამის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებს გაკვეთილებზე პრაქტიკულად ახორციელებს.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში განსაზღვრული დავალებები იძლევა დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ისინი საჭიროების შემთხვევაში ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და მათ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას, არჩევითი დავალებების შეთავაზებას, სასწავლო მასალისა და დავალებების ადაპტირებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში დიფერენცირებული სწავლების მიდგომა რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. შეფასების მთავარი ორიენტირია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით** საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და |

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა<br>სასურველია:<br>• პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს;<br>• განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს შედეგების ინდიკატორებს;<br>• განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს წახალისება, რჩევის პრინციპს;<br>• სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი;<br>**საბაზო** საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა.<br>სასურველია:<br>• სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი.<br>• პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს;<br>• განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს შედეგების ინდიკატორებს;<br>• განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება. |

| | |
|---|---|
| | **საშუალო საფეხურზე** გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია:<br>• განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს.<br>• პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს;<br>• სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. |
| უცხოური ენები | სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება კონკრეტულ კომპლექსური ტიპის დავალებას. შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე გადმოგზავნილია ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, შეფასების ვერიფიკაცის მექანიზმი, რომელიც შეფასების სისტემის მხარდამჭერი ინსტრუმენტი იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და მოთხოვნებს. მათში ასახული ინდიკატორები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასებითი ნაწილის ეფექტიან გამოყენებას და მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის ობიექტურ ასახვას.<br>რჩევა:<br>სასურველია, შეფასების რუბრიკები გახდეს უფრო დეტალური და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაზეც მიეცა რჩევა.<br>მასწავლებელს აქვს შექმნილი ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. |

| | |
|---|---|
| | მაგრამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები, მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა შეფასების რუბრიკის შესწორების და თავიდან გადმოგზავნისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტდეს კრიტერიუმების შესაბამისი ქულების ოდენობები და ქულათა ჯამი |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინტეგრიებული პროექტი
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია
  კათედრის ოქმი
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებისა და პეროექტების ამსახველი მასალა
- სსსმ მოსწავლის შემაჯამებლების ანალიზის ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმების საფუძველზე. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის (საგნობრივი კათედრების ოქმები, ინდივიდუალური გეგმები) ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო თემები, მისაღწევი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები მეტწილად თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბუნებისმეტყველო საგნების უმეტესი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ აქტივობები მიმართულია მოსწავლეებში კომპლექსური და ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების |

| | |
|---|---|
| | სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საბაზო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br><br>**საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლას გააჩნია კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ცვლილებების შეტანა მათში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები, ასევე სახვითი ხელოვნებაში განხორცილებული პროექტის აღწერილობა, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებუილია, თუმცა აქვე ავღნიშნავ რომ სახვითი ხელოვნების საშუალო საფეხურის კურიკულუმში მითითებულია ექვსი პროექტი როდესაც სასწავლო წელი ითვალისწინებს სემესტრში თითო, წლის განმავლობაში ორი პროექტის განხორციელებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სამივე საფეხურის კურიკულუმები, ურთიერთდაკვირვების ფორმები, კათედრის სხდომის ოქმები, შეფასების რუბრიკები, რეფლექსია. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობით გეგმავენ და ახორცელებენ კურიკულუმებს, უწევენ რევიზიას და შეაქავთ ცვლილებები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცეს. საბაზო საფეხურზე კლას-კომპლექტში დიდ ყურადღებას უთმობენ დროის გონივრულ მართვას, რათა მიღწეული იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შდეგი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებს. დაგეგმვის არსებული მოდელი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, თითოეული მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართოს, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | რჩევა; სასწავლო პროცესის ხარისხის შემდგომი ამაღლებისთვის, სასურველია ყველა სტრატეგიული და მეთოდოლოგიური გადაწყვეტილება საგნობრივი კათედრის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე იქნას მიღებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი ნამუშევრები, პრეზენტაციების და სხვა ნამუშევრების სახით. სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდან ჩანს რომ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში  და პროექტებში, რაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში ისინი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებების შერჩევა ხორციელდება ისე, რომ მათი შესრულება იყოს როგორც საინტერესო, ისე რეალისტურად დასაძლევი თითოეული მოსწავლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შეუძლია სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ან საზოგადოების მოთხოვნილებებსა და გამოწვევებს, რომლებიც სწავლისა და სწავლების პროცესში წარმოიქმნება. ეს შეიძლება იყოს

ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებთან, მოულოდნელ ცვლილებებთან ადაპტაცია, კონფლიქტების მართვა და პრობლემების გადაჭრა, მშობელთა ჩართულობა და უკუკავშირი, რესურსების ეფექტური გამოყენება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ობიექტური და სამართლიანი. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებლები ეყრდნობიან წინასწარ განსაზღვრულ სქემებს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც. საერთო ჯამში, სისტემა არის სანდო და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები აკვირდებიან თუ რომელი მოსწავლე საჭიროებს დამატებით დახმარებას (მაგალითად, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი მოსწავლეები, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) და შეუძლია შეცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები ან რესურსები, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ეს მოიცავს მოულოდნელ გამოწვევებს, როგორიცაა ვირუსული ინფექციების გავრცელება, სტიქიური უბედურებები, ან სხვა კრიზისული სიტუაციები, რომლებიც აიძულებს სკოლას შეცვალოს სასწავლო ფორმატი. სკოლა ღიაა სიახლეების მიმართ და მზადაა დანერგოს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები ან პედაგოგიური მეთოდები, თუკი ისინი გააუმჯობესებენ სწავლის ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. თუკი ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) შედის ცვლილებები ან დამატებები, სკოლა ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის ადაპტირებას ამ სიახლეებთან. სკოლა აქტიურად აგროვებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, აანალიზებს მას და იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად. ასევე შექმნილი აქვთ |

| | |
|---|---|
| | შემაჯამებლის ანალიზის, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას.<br>სასურველია აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი. |
| უცხოური ენები | მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის II სემესტრი და VI კლასი) და განმავითარებელ შეფასებებს. შეფასება ხორციელდება ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, დიაგნოსტიკური წერების და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის, მაგალითად, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატისა და სხვა დავალებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტით კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხიც. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების |

| | |
|---|---|
| | მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა<br>სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა. (ეხება სამივე საფეხურს) |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით) აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია როგორ იგეგმება და მიმდინარეობს ვერიფიკაციის პროცესი, ვინ იქნება განმახორციელებელი პირი და რა ეტაპებს გადის პროცესი. კათედრამ ასევე წარმოადგინა ურთიერთდაკვირვების ფორმა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერის ნიმუში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისიტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვალიდურია და სრულად შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს. მათში ინტეგრირებული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია შესასწავლ თემატიკასთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას.<br>რჩევა: სასურველია რუბრიკები წინასწარ უყოს თემის ფარგლებში გაწერილი და მოსწავლეებისათვის გაცნობილი, ამასთან დაწერის სტილი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.<br>თუმცა განმსაზღვრელ შეფასები რუბრიკაში დასაკორექტირებელია კრიტერიუმების შესაბამისი ქულები, რათა საბოლოოდ კრიტერიუმების შესაბამისი ქულათა ჯამი იყოს სწორი. რისთვისაც მასწავლებელს მიეცა რჩევა და მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა აღნიშნული კორექტირების განხორციელებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**<br>რჩევა:<br>სასურველია განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში დაკორექტირდეს ქულათა ოდენობები |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს და გამომდინარეობს ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან. ისინი მორგებულია კონკრეტულ თემებსა და საკითხებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობასა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. პროცესი მოიცავს საგნობრივი კათედრების მიერ შეფასების რუბრიკების წინასწარ ვალიდაციას, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ესგ-ს (ეროვნული სასწავლო გეგმის) მოთხოვნებთან. სკოლა პერიოდულად ახორციელებს შიდა მონიტორინგს, რათა გამოირიცხოს სუბიექტური მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**
   სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მონაცემებს: შუალედურ და შემაჯამებელ დავალებებს და შეფასებებს: მასწავლებელთა უკუკავშირებს, მოსწავლეთა თვითშეფასებებსა და ურთიერთშეფასებებს, სადიაგნოსტიკო ტესტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ურთიერთდაკვირვების ფორმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები
- შემაჯამებელი დავალების რუბრიკები
- დიაგნოსტიკური წერების ანგარიში

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დოკუმენტაციის რევიზიით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსი, რაც აუცილებელია ეფექტური და ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლა არამარტო გეგმავს სწავლებას, არამედ გააჩნია ის საშუალებები, რითაც ეს გეგმა რეალურად |

| | |
|---|---|
| | განხორციელდება და მოსწავლეები მიიღებენ სრულფასოვან განათლებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს რომელსაც დიფერენცირებულად არგებენ სხვადასხვა კლასებს, ეს ასევე დასტურდება მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებით და დამატებიტი აქტივობებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებას უზრუნველყოფს სკოლა. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყველა სახის რესურს, მათ შორის, ელექტრონულ მასალას სასწავლო პროცესში იყენებენ შეუფერხებლად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ როგორც ძირითად რესურსს, გრიფირებული სახელმძღვანელს სახით ასევე დამატებით რესურს , რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ შესაბამის საფეხურის მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. |

| | |
|---|---|
| | კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს [https://school.emis.ge/](https://school.emis.ge/) და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები განხორციელებული პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულ** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შესწავლილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მასწავლებლები სხვადასხვა საგანში იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურ და მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორ დაკმაყოფილებულია** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, თუმცა ვალიდაციის პროცესი ყოველთვის არ არის დოკუმენტურად ასახული. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები ინდივიდუალურად ახდენენ მასალების სელექციას. სასურველია, აღნიშნული პროცესი უფრო სისტემური გახდეს და რესურსების ვალიდაცია რეგულარულად განიხილებოდეს კათედრის სხდომებზე, რათა შენარჩუნდეს სწავლების ერთიანი ხარისხობრივი სტანდარტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით საფეხურზე** სკოლა არამხოლოდ ფლობს დამხმარე სასწავლო რესურსებს, არამედ აქვს მკაფიო პროცესი ამ რესურსების ხარისხის, შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად. საწყის ეტაპზე სკოლა რწმუნდება, რომ ყველა დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება, ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. არსებულ რესურსებს სისტემატურად ამოწმებს და საჭიროების მიხედვით აკეთებს მოდიფიცირებას. როგორც ინტერვიუს ფაზაზე გამოიკვეთა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად აკვირდება მათ ხელთ არსებული რესურსები ხომ არ ეწინააღმდეგება მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და შეფასების |

| | |
|---|---|
| | პრინციპებს. როგორც გაირკვა არსებული დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**<br>**საბაზო საფეხურზე** სკოლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დამხმარე სასწავლო რესურსების ფლობას, არამედ მათ შესაბამისობას მოზარდების განვითარების დონესთან. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სისტემატურად აანალიზებენ გამოყენებულ ციფრულ და ბეჭდურ რესურსებს. სკოლა რწმუნდება, რომ დამატებითი მასალა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და კვლევითი უნარების განვითარებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით. რესურსები მუდმივად ახლდება, რათა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**<br>**საშუალო საფეხურზე** სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო და გამჭვირვალე პროცესი დამხმარე რესურსების შერჩევისა და მათი ეფექტიანობის დასადასტურებლად.<br>როგორც ინტერვიუების ფაზაზე გამოიკვეთა, კათედრის წევრები მუდმივ მონიტორინგს უწევენ დამხმარე მასალებს, რათა გამოირიცხოს შინაარსობრივი უზუსტობები და უზრუნველყოფილ იქნას რესურსების მაღალი მეცნიერული ღირებულება. სკოლა რწმუნდება, რომ გამოყენებული მასალები პასუხობს კომპლექსურ სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ახდენს რესურსების მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.<br>რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი ხელოვნების და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავლაებები განხილულია და შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე რესურსების ვალიდურობას კათედრის წევრები განიხილავენ კათედრის სხდომაზე და შეთანხმებულად იღებენ გადაწყვეტილებას. შემდეგ სახელმძღვანელოების ნუსხა დასამტკიცებლად გადაეცემა პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნული დასტურდება კათედრის პირველი სხდომის ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე, რის შემდეგაც აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მასალების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ პრიორიტეტებთან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის სხდომებზე, დეტალურად განიხილება რესურსების გამოყენების შედეგები, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიანობისა და მიზნობრიობის შეფასებას. მიღებული დასკვნების საფუძველზე, სკოლა ადგენს რესურსების ვალიდაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს |

| | |
|---|---|
| | გადაწყვეტილებას მათი შემდგომი გამოყენების შესახებ მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით. რაც საკმარისია კურიკულუმით დაგეგმილი მიზნების მისაღწევად.<br>რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ არსებული მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს კურიკულუმის შედეგებით განსაზღვრულ მიზნებს, სასურველია მოხდეს რესურსების განახლება.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | ჭალოვანის საჯარო სკოლის **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად. ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, სასკოლო სივრცისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**საბაზო საფეხურის** კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის გამყარებული შესაბამისი მატერიალური ბაზით. სკოლაში არსებული რესურსები რაოდენობრივად შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, რაც თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. |

| | |
|---|---|
| | სასკოლო სივრცეები მოწყობილია იმგვარად, რომ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და იძლევა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას. კურიკულუმის განხორციელების პროცესში დადასტურდა, რომ მატერიალური რესურსი საკმარისია პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების სრულყოფილად შესასრულებლად. **საშუალო საფეხურზე** კურიკულუმის მიზნებისა და სწავლის შედეგების რეალიზება უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და თანამედროვე მატერიალური რესურსებით. სკოლა მკაცრად იცავს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას და თითოეული მოსწავლისთვის გარანტირებულია წვდომა რესურსებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორი), ასევე პედაგოგების და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები (მ.შ. ხელნაკეთი) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით ეს დასტურდება სახვით მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლას აქვს შესაბამიის მატერიალური რესურსი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | საგნობრივი კათედრის ფარგლებში ნორმის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო რესურსების მობილიზება და ადაპტირება, რაც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას და ხელს უწყობს თანაბარი სასწავლო შესაძლებლობების შექმნას ყველა კატეგორიის მოსწავლისთვის.<br>რჩევა:<br>რეკომენდებულია, პერიოდულად მოხდეს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის ანალიზი კათედრაზე და მათი განახლება მოსწავლეთა მიერ მიღებული უკუკავშირისა და აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული ტექმოლოგიების ლაბორატორია, რომელშიც მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ 3 ლეპტოპი, მაგრამ აღნიშნა ისიც რომ თითქმის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია პირად საკუთრებაში არსებული ბუკებით და ლეპტოპებით და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობა, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შესაბამისი მასწავლებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შეუძლიათ ეროვნული სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) სრულფასოვანი და ეფექტიანი განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის ჩარჩიები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი ტიპის დავალებები

- სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი
- მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა
- განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების

გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემი, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები ურთიერთდასწრებებით, გამოცდილების გაზიარებით. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთოს მშობლები, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას, რაც ასევე მასწავლებელებმა აღნიშნეს. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს (ალბომები, დღიურები, ბუკლეტები, პოსტერები, კომიქსები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს, მოსწავლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია რაც მათთან გასუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ამრიგად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკუკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასაწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი, რაც შეფასებას მოსწავლეზე ორინტირებულს და ვალიდურს ხდის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, დღიურები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის

შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს. ამრიგად,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია- მოვალეოებები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრატიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

არიღი 24/03/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

